ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 79/გ

ქ. თბილისი --16-- --03-- 2016 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში ,,შემსყიდველი", მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით, და მეორე მხრივ, სსიპ ,,საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო" დირექტორის ნიკოლოზ მემანიშვილის სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი".

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ,,შემსყიდველმა" განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2016 წლის ასიგნებების ფარგლებში, ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაქმებულ შშმ პირთა და დამსაქმებელთა დამოკიდებულებათა გამოვლენის მიზნით შშმ პირთა დასაქმების შემთხვევებში მაკრო და მიკრო გარემო ფაქტორების გამოვლენის შესახებ კვლევისა და საქართველოს მთავრობის N676 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სრულყოფილი სერვისის სტანდარტის განსაზღვრისა და კარიერის დაგეგმვის ქვესტანდარტის" თარგმნის მომსახურების შესყიდვაზე (კლასიფიკატორის კოდი 79500000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება არა უმეტეს 5 970.80 (ხუთი ათას ცხრაას სამოცდაათი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარისა დღგ-ს ჩათვლით (შემდგომში ,,ხელშეკრულების ფასი").

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

3.1 ინგლისურიდან ქართულ ენაზე 220 გვერდის თარგმნა. ერთი გვერდის ღირებულება დღგს ჩათვით 27,14 ლარი.

4. მომსახურების მიწოდების პირობები:

4.1. ვადები:

4.1.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 28 მარტის ჩათვლით;

4.2. ადგილი:

4.2.1. ქ.თბილისი, ჩიტაძის ქუჩა N4.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება გაწეული მომსახურების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება.

6.2. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ერთჯერადად, გაწეული მომსახურების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის, ინსპექტირების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1.უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.1.3. მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს მომსახურების გაწევა მაღალი ხარისხით და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

7.1.4. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;

7.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.2.2. უზრუნველყოს "მიმწოდებლის" ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.2.3. დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით;

8.1.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს მიმწოდებლის დაფინანსებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელს უფლება აქვს შეაჩეროს მომსახურების გაწევა მისი კუთვნილი თანხის მიღებამდე.

8.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

8.2.2. აწარმოოს შესრულებულ სამუშაოთა ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" და/ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ,,შემსყიდველმა" და ,,მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ,,შემსყიდველი" და ,,მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.არემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.1% ოდენობით.

13.2 ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით სახელშეკრულებო ღირებულების 0.01%

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და მონიტორინგის პროცეზე ზედამხედველობას განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზნით შესაბამისი ბრძანებით შექმნილი ინპექტირების ჯგუფი.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

15.3. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 1 მაისამდე.

17. ზოგადი პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (4 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება “მიმწოდებელთან”, ორი _ “შემსყიდველთან”.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. #144 ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური საიდენტიფიკაციო კოდი 211333957 მინისტრის მოადგილე ვალერი [illegible]	სსიპ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო" ქ.თბილისი, ჩიტაძის ქ. N4 მიმღები ბანკი სახელმწიფო ხაზინა ს/კ 204427753 ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბ/კ -TRESGE 22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 707307066 _____ დირექტორი ნიკოლოზ მემანიშვილი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

ე. ჯგერენაია

ი. ქიტიაშვილი

ი. აბრამიშვილი

ი. გვასალია

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

„16“ „03“ 2015 წ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ სსიპ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს“ მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ვ. კვარაცხელია

ი. ბიბილაშვილი

ე. ჯგერენაია

ა. კვერნაძე

თ. შალამბერიძე